სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030682561054415

30 / სექტემბერი / 2015 წ. **თბილისი #06-175/ო**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების რეგულირების, სტანდარტული ოპერაციული პროცედურის (SOP)- ბაქტერიებისა და ვირუსების ეროვნულ საცავში სადეზინფექციო საშუალებების ბაქტერიოციდული ეფექტის განსაზღვრის, განცხადებების და მიმართვის სტანდარტული ფორმის დამტკიცების და შესახებ

„საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ-ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მომსახურების გაწევის ვადის, სახეების, საფასურის გადახდის და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის #468 დადგენილების და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის, „გ”და „ჟ“ ქვეპუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.დამტკიცდეს, სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის:

ა) მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების რეგულირების წესი - დანართი #1;

ბ) ცენტრისათვის მიმართვის სტანდარტული ფორმა - დანართი #2;

გ) სტანდარტული ოპერაციული პროცედურა (SOP) - ბაქტერიებისა და ვირუსების ეროვნულ საცავში სადეზინფექციო საშუალებების ბაქტერიოციდული ეფექტის განსაზღვრა (კლასტერი 1.03) - დანართი #3;

დ) სადეზინფექციო საშუალებების ბაქტერიოციდული ეფექტის განასაზღვრის განცხადების ფორმა - დანართი #4;

ე) სადეზინსექციო/სადერატიზაციო საშუალების თანმხლები დოკუმენტების ვალიდურობის განცხადების ფორმა - დანართი #5.

2.ამ ბრძანების პირველი პუნქტის “ბ“ „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით დამტკიცებული განცხადებების შევსების სისწორეზე პასუხისმგებლობა დაეკისროს ცენტრის არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის გარემოს ჯანმრთელობის სამმართველოს.

3. დაევალოს, ცენტრის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (კ. ოჩიგავა), უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ცენტრის ოფიციალურ ვებ–გვერდზე – www.ncdc.ge.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სტანდარტული ოპერაციული პროცედურის (SOP)- ბაქტერიებისა და ვირუსების ეროვნულ საცავში სადეზინფექციო საშუალებების ბაქტერიოციდული ეფექტის განსაზღვრა და განცხადებების ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2014 წლის 18 დეკემბრის #06-241/ო ბრძანება.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6.ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე